ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №25

ქ. თბილისი 21.12.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირინა აბულაძე - სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - „საქართველო" (MCA - Georgia) „მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების" პროექტის მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარე;
გრიგოლ მურღულია - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის" დამფუძნებელი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, ისტორიკოსი, საბჭოს მდივანი.
შალვა ტაბატაძე - ა(ა)იპ - სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის თავმჯდომარე;
რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;
ქეთევან აბულაძე - სსიპ - ქალაქ თბილისის №126 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე;
არჩილ სუმბაძე - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის" აკადემიური დირექტორი;
გიორგი გახელაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის მოწვეული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
ელენე ვეკუა - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
1. **შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა:**
ალექსანდრე ვაშაკიძე-გენერალური დირექტორი;
თამარ დემეტრაძე-დაწყებითი სკოლის დირექტორი;
ვასილ მანაგაძე- იურისტი.
2. **შპს ფრანგული სკოლა:**
მაია დევაძე-დირექტორის მოადგილე;
ლუიზა თუთარაშვილი-დირექტორი.

3. **შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი:**
ნათია კილაძე-აღმასრულებელი დირექტორი;
ნინო ჩიკვაშვილი- გენერალური დირექტორი, დამფუძნებელი.
4. **სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი ნინო ჩოხელი:**
ნანა ზურაბიშვილი-აღმასრულებელი დირექტორი;
ელენე გონგაძე- დამფუძნებელი.
5. **შპს არეა:**
ელენე როგავა-დირექტორი;
მაია ოდიშარია- საქმისმწარმოებელი.
6. **შპს თამარ გარეჯელი:**
თამარ საგინაშვილი- დირექტორი;
მზია ავალიშვილი- სკოლის ბუღალტერი.
7. **ა(ა)იპ - წმინდა ნინოს სახელობის საირხის სასულიერო სკოლა-პანსიონი:**
ნარგიზ გაბაძე- დირექტორი;
ეკატერინე გიორგაძე- სასწავლო ნაწილის გამგე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):
მიხეილ ტეფნაძე;
მანანა ალიბეგაშვილი;
ნოდარ ანგურიძე;
მაკა ტუკვაძე;
თეა სალუქვაძე;
ლენა გომართელი;
ინგა კახიანი;
იანინა გიგიბერია;
თამარ ამზაშვილი;
ნინო ბალანჩივაძე;
მარინე სეხნიაშვილი;
ნინო ვარდოსანიძე;
გიორგი ლასხიშვილი;
ლიანა ჩარკვიანი;
მაია პაპუნაშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:15 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე მიუთითა, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს თამარ გარეჯელის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - წმინდა ნინოს სახელობის საირხის სასულიერო სკოლა-პანსიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ფრანგული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი ნინო ჩოხელის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს არეას ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით დამტკიცდა.

1. შპს თამარ გარეჯელის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტებმა ლიანა ჩარკვიანმა და მაია პაპუნაშვილმა საბჭოს წარუდგინეს ჯგუფის დასკვნა და მასში ასახული შენიშვნები. ყურადღება გამახვილდა სკოლის მისიაზე და რელიგიის ისტორიის საგანზე, კერძოდ დასკვნის თანახმად, სკოლის მისიით არ იყო განსაზღვრული უცხოური ენების გაძლიერებული სწავლება, თუმცა სკოლის წესდებაში აღნიშნულია, რომ ინგლისური ენა ისწავლება გაძლიერებულად. ამის მიუხედავად, სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, კერძოდ, წარმოდგენილი საათობრივი ბადის მიხედვით, ინგლისურ ენას ეთმობა იმდენივე საათი, რამდენიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმით: პირველ და მეორე კლასებში - კვირაში 2 საათი, მესამე-მეექვსე კლასებში - კვირაში 3 საათი. ამდენად, არ ჩანდა, რაში გამოიხატებოდა ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება. ასევე სკოლის წესდებაში აღნიშნული იყო, რომ სკოლა იყო დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო სასწავლებელი პროფესიული კლასებითა და უცხოური ენების გაძლიერებული სწავლებით. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, დასახელებული პროფესიული კლასები სკოლაში არ ფუნქციონირებს. სკოლის დირექტორის განმარტებით, ასეთი კლასები სკოლაში არსებობდა და იმის მიუხედავად, რომ დღეს განსხვავებული ვითარებაა, წესდების დასახელებული პუნქტი არ შეცვლილა. გარდა ამისა, საგნის რელიგიის ისტორია და კულტურა წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით, სკოლაში, რეალურად, ისწავლებოდა მხოლოდ და მხოლოდ ძველი და ახალი აღთქმის წინები, ასევე ქრისტიანული რელიგიის სხვადასხვა საკითხები. საგნის სწავლებისას ასევე არ იყო გათვალისწინებული ის, რასაც მოიაზრებს საგნის სახელწოდება - რელიგიის მიმართება კულტურასთან.

ექსპერტებმა ასევე აღინიშნეს, რომ სასწავლო რესურსების ჩამონათვალში არ იყო აღნიშნული ის სახელმძღვანელოები, რომელთა გამოყენებითაც ხორციელდება „რელიგიის ისტორიისა და კულტურის" სწავლება, თუმცა წარმოდგენილ პროგრამებში ასეთი სახელმძღვანელოები და რელიგიური შინაარსის მქონე ჟურნალები მითითებული იყო. სკოლის პედაგოგთან ინტერვიუს დროს აღმოჩნდა, რომ პედაგოგი იყენებდა რამდენიმე სახელმძღვანელოს. აღსანიშნავია, რომ ამ სახელმძღვანელოების/ჟურნალების არცერთი ეგზემპლარი არ აღმოჩნდა სკოლის ბიბლიოთეკაში. მასწავლებლის განმარტებით, ვისაც სახელმძღვანელო არ აქვს, ნებაყოფლობით აკეთებს ქსეროასლებს და იყენებს საგნის შესწავლისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში არ იყო აღნიშნული, გარდა გრიფმინიჭებული და დამხმარე სახელმძღვანელოებისა, რა სასწავლო რესურსს იყენებენ მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში.

დასკვნაში მოცემულია, რომ მართალია სასკოლო სასწავლო გეგმა გამოკრული იყო ყველასათვის თვალსაჩინო ადგილზე და დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ მისი გაცნობა,

მაგრამ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან, კერძოდ კლასის დამრიგებლების მიერ სასწავლო წლის დასაწყისში ჩატარებული მოსწავლეთა და მშობელთა კრებების ოქმებიდან, არ ჩანდა, რომ მათ მოსწავლეებსა და მშობლებს გააცნეს სასკოლო სასწავლო გეგმა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში იყენებენ შემაჯამებელი დავალების ერთადერთ მეთოდს - წერითს (ტესტი, თხზულება). შესაბამისად, შემაჯამებელი დავალებებით არ ხდება ამა თუ იმ საგნის სტანდარტით გათვალისწინებული მიმართულებების მიხედვით შედეგების შემოწმება. მაგალითად, საგანში ქართული ენა და ლიტერატურა შემაჯამებელი დავალებებით არ მოწმდება შედეგები სტანდართით განსაზღვრულ მიმართულებებში - ზეპირმეტყველება, კითხვა, უცხოურ ენებში - მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა.

ლიანა ჩარკვიანმა ასევე განაცხადა, რომ სკოლის ყველა მასწავლებელს აქვს სადამრიგებლო პროგრამა, საიდანაც ჩანს, რომ დამრიგებლები მუშაობენ მოსწავლეებთან ეროვული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპების მიხედვით. დაწყებითი კლასების სადამრიგებლო პროგრამებში გათვალისწინებულია წიგნიერების კომპეტენციის განვითარებისკენ მიმართული აქტივობები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის ზოგიერთი მოთხოვნა, მართალია, შეტანილია სადამრიგებლო პროგრამაში, მაგრამ არ სრულდება. კერძოდ: ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, დამრიგებელს ევალება „V-XII კლასებისთვის წელიწადში მინიმუმ ერთხელ (სასწავლო წლის ბოლოს) გააკეთოს სადამრიგებლო კლასიში თითოეული მოსწავლის აკადემიური მიღწევის, გაკვეთილებზე დასწრებისა და ქცევის ანალიზი მასწავლებლებისგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და დაწეროს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება. ვიზიტის დროს წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლის V კლასის დამრიგებელს ასეთი დახასიათება არ აღმოაჩნდა, VI კლასის დამრიგებლის მიერ შედგენილი დახასიათება კი არ აკმაყოფილებდა ესგ-ს მოთხოვნებს, ანუ დახასიათებაში არ ჩანს მოსწავლის ძლიერი მხარეები, მისი წარმატებები როგორც აკადემიური, ასევე სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, მოსწავლის მონაწილეობა წრეებში, სპორტულ შეჯიბრებებსა თუ სხვა სახის ღონისძიებებში; დახასიათებებში არ არის გაანალიზებული ყველა ის საკითხი, რომელიც მნიშვნელოვანია (ან არსებითია) მოსწავლის კოგნიტური (შემეცნებითი), ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარებისთვის

ექსპერტმა საბჭოს მოახსენა, რომ სკოლას სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული აქვს შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა თითოეულ საგანში; გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები და ჩატარების ფორმები; საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესი და პროცედურა. სკოლის შეფასების სტრუქტურა მოიცავს კათედრის მიერ შედგენილ შეფასების რუბრიკებს ცალკეულ საგნებში. იმის მიუხედავად, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს შეფასების პრინციპები, რომელთა თანახმადაც, ესგ-ის მოთხოვნის შესაბამისად, I-IV კლასებში მოსწავლეების შეფასება ხდება მხოლოდ განმავითარებელი შეფასებით, სკოლაში არსებული დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილი მასალიდან ირკვევა, რომ მოსწავლეთა შეფასება დაწყებით კლასებში, ფაქტობრივად, განმსაზღვრელი შეფასებით ხდება. კათედრის მიერ გამოგზავნილი შეფასების რუბრიკა, რომელსაც დასახელებული კლასების მასწავლებლები იყენებენ, ასეთია: მოსწავლეთა შეფასებისათვის იყენებენ სპეციალურ სიმბოლოებს: მაღალი შეფასება - მზე, საშუალო - ვარსკვლავი, დაბალი - ღრუბელი. ამგვარი რუბრიკების გამოყენება რომ სასკოლო პრაქტიაში დამკვიდრებული წესია, გადმოგზავნილი მასალის გარდა, დადასტურდა შესაბამისი კლასების მასწავლებლებლებისა და და მშობლების ინტერვიურების დროსაც. მშობლებთან იტერვიუს დროს გამომჟღავნდა ისიც, რომ ზოგჯერ ქულებით შეფასებაც გამოიყენება. მაგალითად, მასწავლებელი მოსწავლეს ეუბნება, რომ მას ეკუთვნის ათი ქულა.

მასწავლებლებლების თქმით, ამგვარ შეფასება არაფორმალური ხასიათი აქვს და ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციას.

ექსპერტმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ მომსახურებას - საგანს „რელიგიის ისტორია და კულტურა." საგანი სავალდებულოა და ისწავლება დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში. შედეგები ფასდება ჩათვლით, მათ შორის - I-IV კლასებში, რაც დაუშვებელია, რადგან, როგორც ცნობილია, დასახელებულ კლასებში მხოლოდ განმავითარებელი შეფასების გამოყენებაა შესაძლებელი, ჩათვლა კი განმსაზღვრელი შეფასების ერთ-ერთი სახეა. აღნიშნული ფაქტები ეწინააღმდეგება ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთ ფუნდამენტურ მოთხოვნას, რომ დაწყებით კლასებში დაუშვებელია განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება.

ექსპერტმა საბჭოს ასევე მიაწოდა ზოგადი ინფორმაცია სკოლის მატერიალური რესურსის შესახებ. სკოლა განთავსებულია მე-3 სართულზე, 1-2 სართულზე კი განთავსებულია საჯარო საბავშვო ბაღი. სასკოლო გარემო არაა ადაპტირებული სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე, რადგან არ არის პანდუსი და არც შესაბამისი სველი წერტილი. ცალკე ფართი აქვთ ნაქირავები კერძო სახლში იმ შემთხვევისათვის თუ ეყოლებათ სსსმ მოსწავლე. ეს ოთახი რეესტრში გატარებულია, ვიზიტის დროს ჩაბარდა განცხადება საჯარო რეესტრს და წარმოადგინეს ამონაწერი. თუ ეყოლებთ სსსმ მოსწავლე კლასი გადავა ამ ფართზე. კლასები ძირითადათ 3-4 ბავშვიანია.

საბჭოს წევრმა გრიგოლ მურღულიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ცალკე კლასის არსებობა წარმოუდგენელია. თუ არ გყავთ სსსმ მოსწავლე რისთვის ქირაობდა მაშინ მას დაწესებულება. გრიგოლ მურღულია დაინტერესდა შენობის მესამე სართულზე მოხერხდებოდა თუ არა კლასის მოწყობა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტანდარტის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გააკეთეს პირველ სართულზე ცალკე კლასი.

გრიგოლ მურღულიას შემდგომი შეკითხვა ეხებოდა თუ ვინ ასწავლიდა რელიგიის ისტორიას და რა სახელმძღვანელოთი მიმდინარეობდა სწავლება. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისწავლებოდა ძველი და ახალი აღქმის წიგნებით, დამატებით ასევე იყენებდნე ქსეროასლებს.

საბჭოს წევრების შემდგომი განხილვის საგანი გახდა შეფასება დაწყებით კლასებში. ექსპერტმა განაცხადა რომ იყენებენ სიმბოლოებს, რაც არ არის ესგ-თი გათვალისიწინებული. დაწესებულების წარმომადგენელს აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით, აღნიშნული ფორმით შეფასება კარგი იყო მოსწავლეთ მოტივაციის ასამაღლებლად, 5-6 კლასებში კი ჰქონდათ ჩათვლები შემოღებული.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლის ადამიანური რესურსს არ ქონდა პრობლემა, ყველა პედაგოგი სქემაში იყო ჩართული. სკოლას ჰქონდა სპორტული დარბაზი და კეთილმოწყობილი ეზო.

საბჭოს თავმჯდომარემ ირინა აბულაძემ იკითხა, თუ მიუმართავს სკოლას მუნიციპალიტეტისათვის სხვა ფართის გადაცემაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა რომ ქალაქში ფართის პრობლემა არსებობდა.

საბჭოს წევრმა არჩილ სუმბაძემ იკითხა მოსწავლეთა დინამიკის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ადრე ჰქონდათ საშუალო საფეხური, სადაც ჰყავდათ 68 მოსწავლე, შემდგომ შემცირდა მოსწავლეთა რაოდენობა და ამიტომ ახლა დაწყებით საფეხურზე შემოვიტანე მხოლოდ განაცხადი.

საბჭოს თავმჯდომარემ ირინა აბულაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ საგანმანათლებლო მოღვაწეობა არის ძალიან კარგი საქმე, მაგრამ არსებობს კითხვის ნიშნები. ეროვნული სასწავლო გეგმა ითხოვს, რაც შეიძლება მეტი შესაძლებლობა ჰქონდეთ მოსწავლეებს, აქედან

გამომდინარე დასკვნაში მისი მოსაზრებით, არსებითი ხასიათის შენიშვნები იყო დაფიქსირებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან დაკავშირებით. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც. ასევე მნიშვნელოვანი ხარვეზი იყო ის, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა ადაპტირებული გარემო, რითაც არღვევდა მატერიალური რესურსის სტანდარტს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თამარ გარეჯელისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 2
წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს საბჭოს შემდეგმა წევრებმა: ირინა აბულაძემ, გრიგოლ მურღულიამ, თამარ ფხალაძემ, რევაზ აფხაზავამ, გიორგი გიგიბერიამ, არჩილ სუმბაძემ და გიორგი გახელაძემ.

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს თამარ გარეჯელს (ს/კ: 238111084) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

2. შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა არჩილ სუმბაძეს განაცხადა თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა მიხეილ ტეფნაძემ. მან აღწერა ვიზიტის შედეგები და შეფასებები თითოეული სტანდარტის მიხედვით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სქემასთან დაკავშირებით იყო გარკვეული პრობლემები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა განსხვავდებოდა თუ არა სკოლის სასწავლო გეგმა ეროვნული სასწავლო გეგმისგან. ექსპერტმა აღნიშნა, რომ გეგმა იყო განსხვავებული და ამის თაობაზე სამინსიტროსგან ჰქონდათ თანხმობა. ექსპერტმა მიხეილ ტეფნაძემ აღნიშნა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა ორიენტირებული იყო სკოლის მისიის მიღწევაზე, კერძოდ სკოლა გარკვეული მიმართულებებით სწავლებას გაძლიერებული და მოდიფიცირებული სქემით ახორციელებდა. ზოგადად განსხვავებული იყო დამოკიდებულებები მოსწავლე-მასწავლებელსა და მშობელს შორის.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ გაძლიერებული იყო ინგლისური ენის სწავლება, ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევი შედეგის გარდა მეათე კლასის ბოლოს სკოლა უზრუნველყოფდა FCE გამოცდის სტანდარტის დაძლევას, წინასაბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მოსწავლეებს ჰქონდათ არჩევანი მომზადებულიყვნენ საერთაშორისო სერთიფიკატის IELTS ან TOEFL-ის მისაღებად.

მიხეილ ტეფნაძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სპორტი სკოლის ასევე ერთ-ერთ ძლიერ მხარეს წარმოადგენდა. სკოლის ინსტრუქტორი ყოველწლიურად მწრთვნელებს უზიარებდა საერთაშორისო სტანდარტის გამოცდილებას ისეთ პოპულარულ სპორტის სახეობებში, როგორიცაა - რაგბი და ფეხბურთი. დაწესებულებას ასევე ჰქონდა ბალახის ჰოკეი.

მიხეილ ტეფნაძემ დამატებით აღნიშნა, რომ სკოლა დამატებითი სავალდებლო საგნების სახით მოსწავლეებს სთავაზობდა: ლოგიკა და მათემატიკური უნარებს 1-7 და 12 კლასებში. 1-6 კლასში 1 საათი ხოლო 7 და 12 კლასებში 2 საათიანი დატვრთვით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები წარმოადგენდა პრაქტიკულ კურსს, რომელიც მოსწავლეებს ინტერესს უღვივებდა საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ, რაც თავის მხრივ აძლიერებდა ზედა საფეხურზე STEM-ის მიმართულებით სწავლებას.

დაწესებულების ადმინისტრაციამ წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის 2016 წლის 18 აგვისტოს წერილი, რომლის მიხედვითაც ეროვნული სასწავლო გეგმების შესაბამისმა საგნობრივმა ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ წარდგენილი სასწავლო გეგმა და შენიშვნები არ გააჩნდათ. გამომდინარე აქედან სასკოლო გეგმა შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენით სურდა განსაზღვროდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 720 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 720-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისს (ს/კ: 205089526) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 720-ით.

15:10 საათზე საბჭოს თავმჯდომარემ ირინა აბულაძემ დატოვა სხდომა. შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის ხელმძღვანელობა განაგრძო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გრიგოლ მურღულიამ.

3. ა(ა)იპ - წმინდა ნინოს სახელობის საირხის სასულიერო სკოლა-პანსიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა ნინო ვარდოსანიძემ და გიორგი ლასხიშვილმა. მათ აღწერა ვიზიტის შედეგები და შეფასებები თითოეული სტანდარტის მიხედვით. ექსპერტებმა საბჭოს მიაწოდეს დამატებითი ინფორმაცია სკოლის შესახებ. სკოლა პანსიონში ირიცხებოდა 167 მოსწავლე, აქედან 25 მათგანი კვირის განმავლობაში რჩებოდა ადგილზე პანსიონში, შაბათ-კვირის გარდა. სკოლა-პანსიონი უზრუნველყოფილი იყო ყველა პირობით. ყველაფერი იყო უფასო, მაგალითად - ოთხჯერადი კვება პანსიონისთვის და ერთჯერადი ყველასთვის.

სკოლას ჰყავდა 21 პედაგოგი, მათ შორის 11 უფროსი, 9 პრაქტიკოსი. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ერთ-ერთ ახალ პედაგოგს არ ჰქონდა პრაქტიკოსის სტატუსი, თუმცა შესაბამის ორგანოში გაგზავნილი ქონდათ მონაცემები და ელოდებოდნენ პასუხს. პედაგოგები დანიშნულები იყვნენ კონკურსის წესით. საქმისწარმოება სკოლაში მიმდინარეობდა კარგად, მოსწავლეებისა და მასწავლებელთა პირად საქმეებში ყველა დოკუმენტი იყო.

ექსპერტმა გიორგი ლასხიშვილმა საბჭოს მოახსენა მატერიალური რესურსის შესახებ დასკვნაში არსებული ინფორმაცია. დასკვნის თანახმად, დაწესებულებას ჰქონდა 300 ინდივიდუალური მერხი და სკამი, 15 კომპიუტერი, 1 ლეპტოპი, პრინტერი-ქსეროქსი, 15 უსაფრთხოების კამერა მათ შორის 7 გარე პერიმეტრის. ყველა სართულზე არსებობდა პანდუსი. პირველ და მეორე სართულებზე განთავსებული იყო სველი წერტილები, მათ შორის თითო ადაპტირებული. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

ექსპერტმა ნინო ვარდოსანიძემ დამატებით აღნიშნა, რომ სკოლა-პანსიონში ფუნქციონირებდა 5 კათედრა, კათედრის პორტფოლიოებში არსებული დოკუმენტაცია იყო მოწესრიგებული.

ნინო ვარდოსანიძემ აღნიშნა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო მომსახურების სახით, სავალდებულო საგნას სკოლაში ისწავლებოდა საღვთო სჯული - საგანს კვალიფიცირებული, შესაბამის დარგში უმაღლესი განათლების მქონე პედაგოგი ასწავლიდა. პედაგოგმა წარმოადგინა საგნის პროგრამა და სახელმძღვანელოები. პროგრამა, დატვირთვა და შინაარსი შეესაბამებოდა ასაკობრივ მოთხოვნებს.

საბჭოს წევრებმა ისაუბრეს რამდენად ეხებოდა ავტორიზაციის საბჭოს პანსიონში საცხოვრებელი და კვების საკითხები და დაასკვნეს რომ ეს მათ არ ეხებათ, რადგან საბჭო აძლევს ავტორიზაციას სკოლას და მის ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ საღვთო სჯული არ იყო სავალდებულო საგანი და ის ისწავლებოდა როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამტებითი მომსახურება. გრიგოლ მურღულია დაინტერესდა სად იყო ამის შესახებ ინფორმაცია და ასევე ისაუბრა იმაზე, რომ მისი აზრით, დაზუსტებას საჭიროებდა სკოლის მისიის შინაარსი.

საღვთო სჯული სწავლებისას დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ხელმძღვანელობს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმებით, რომლის მიხედვითაც მართლმადიდებლური საგნის სწავლება იყო ნებაყოფლობითი. სკოლის დირექტორმა დაამატა, რომ ამჟამად საათობრივ ბადეში საღვთო სჯული ჩასმული იყო როგორც დამატებითი სავალდებულო საგანი, თუმცა მომავალი წლიდან მას მიანიჭებდნენ არჩევითი საგნის სტატუსს.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ სკოლაში არსებული შეფასების სისტემით. ექსპერტებმა განმარტეს, რომ დაწყებით კლასებში არსებობდა განმავითარებელი შეფასება, რაც დასტურდებოდა მოსწავლეთა რვეულებსა და კათედრებზე შემუშავებული წესით. მაღალ კლასებში იყო განმსაზღვრელიცა და განმავითარებელიც. შემაჯამებელი დავალებები და შეფასებები იყო მრავალფეროვანი.

საბჭოს წევრმა გიორგი გახელაძემ კვლავ დააყენა საკითხი, რომ უნდა მოხდეს საღვთო სჯულის ამოღება სავალდებულო საგნების ნუსხიდან და ეს საგანი უნდა ყოფილიყო არჩევითი.

სხდომის თავმჯდომარემ გრიგოლ მურღულიამ მიმართა დაწესებულებას, რომ როგორც კეთილმოსურნე ადამიანი ურჩევდა სკოლას, დაფიქრებულიყო იურიდიული პირის სახელმწოდების ცვლილებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენით სურდა განსაზღვროდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 300 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - წმინდა ნინოს სახელობის საირხის სასულიერო სკოლა-პანსიონისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა, გიორგი გახელაძემ.

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, დააყენა ა(ა)იპ - წმინდა ნინოს სახელობის საირხის სასულიერო სკოლა-პანსიონს (საიდენტიფიკაციო კოდი: 239406674) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.

საბჭო 15:50 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 16:05 საათზე.

საბჭოს წევრმა გიორგი გახელაძემ დატოვა სხდომა.

4. შპს ფრანგული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტმა მაკა ტუკვაძემ. მან აღწერა ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეული სტანდარტისათვის. აღნიშნა, რომ სკოლის მისიაში შეიცვალა ჩანაწერი, ასევე რეკომენდაცია მიეცა სკოლას შემაჯამებელი დავალების გასამრავალფეროვნებლად, როგორიცაა პროექტების გამოყენება შეფასებისათვის. დაწყებითების მასწავლებლებს ჰქონდათ დაკვირვების ფურცლები, მაღალ კლასებში კი შედგენილი იყო კარგი ტესტები. სხვა ხარვეზი პროგრამულ ნაწილში არ ყოფილა.

საბჭოს წევრის კითხვაზე, რას მოიცავდა დაწყებით საფეხურზე შეფასებისთვის გამოყენებული დაკვირვების ფურცელი, ექსპერტმა განამარტა, რომ დაკვირვების ფურცელში კარგად იყო ჩაშლილი კრიტერიუმები, რაში როგორ ღებულობდა შეფასებას და წლის ბოლოს ამას იყენებდა პედაგოგი.

სხდომის თავმჯდომარე გრიგოლ მურღულიამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, პირველ კლასში 3 უცხო ენის - ინგლისურის, ფრანგულისა და ქართულის სწავლება ბევრი ხომ არ იყო და პრობლემას ხომ არ უქმნიდა ეს მოსწავლეებს. სკოლის დირექტორის განმარტებით, ფრანგულს მოსწავლეები იყენებენ სკოლის დამთავრების შემდეგ. ფრანგულის მასწავლებელი ძირითადად სამეტყველო აპარატზე მუშაობდა პირველი ორი წელი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მშობლები იყვნენ კმაყოფილები, ვინაიდან მათი შვილები საუბრობენ ფრანგულად და ინგლისურად.

გრიგოლ მურღულიამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დამატებით განაცხადა, რომ ბავშვი ამ ასაკში ისწავლის ყველაფერს კარგად, მაგრამ დასაფიქრებელი იყო ეს რის ხარჯზე ხდებოდა, ნაადრევი წარმატების მისაღწევად იხარჯება სერიოზული რესურსი, ფსიქოლოგიური კვლევები და წარსული აჩვენებს ამას და მოგიწოდებთ, რომ შეისწავლოთ ეს საკითხი. საბჭოს წევრები დაეთანხმნენ სხდომის თავმჯდომარის მოსაზრებას პირველივე კლასიდან ერთდროულად 3 ენის სწავლების პრობლემატურობის საკითხში და აღნიშნეს, რომ ეს იყო ეროვნული სასწავლო გეგმის დარღვევაა. საბჭოს წევრებმა მიმართეს ექსპერტებს, რომ სამომავლოდ მსგავსი ფაქტები მკაფიოდ გამოეკვეთათ დასკვნაში, კერძოდ როდესაც სასკოლო გეგმა არ მოდიოდა შესაბამისობაში ეროვნულ სასწავლო გეგმასთან ენების სწავლების ნაწილში.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ სკოლაში არსებული არტ კლუბის საკითხით. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ არტ კლუბის ფარგლებში სკოლაში იმართებოდა სპექტაკლები, შეხვედრები, გამოფენები.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულების მატერიალური რესურსი აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებს. მათი განმარტებით სკოლას ვიზიტის პერიოდში ჰყავდა 65 მოსწავლე და 26 პედაგოგი, საიდანაც 3 პედაგოგი არ იყო სქემაში ჩართული.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენით სურდა განსაზღვროდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 120 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე შპს ფრანგული სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ფრანგულ სკოლას (ს/კ: 245438281) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120-ით.

საბჭომ შუადმგომლობით მიმართა ცენტრს, რომ დაწესებულებაში ახალი სასწავლო სემესტრის დაწყებიდან 1 თვეში განხორციელდეს მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი და გადამოწმდეს რამდენად გამოასწორა დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში და საბჭოს სხდომაზე განხილული შენიშვნები.

5. შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტმა ლენა გომართელმა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა. მან აღწერა ვიზიტის შედეგები და შეფასებები თითოეული სტანდარტის მიხედვით. ექსპერტმა ხარვეზებიდან ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ხელოვნება და მუსიკა ისწავლებოდა კომბინირებულად. 1 კვირა ისწავლებოდა მუსიკა და 1 კვირა - ხელოვნება. შესაბამისად, ვიზიტის დროს, ექსპერტებმა სკოლას მისცეს რეკომენდაცია, რომ აღნიშნული შენიშვნა გამოესწორებინა.

ასევე, სასკოლო გეგმით, გამოცდები დანიშნული იყო მე-5 და მე-6 კლასებში, რასაც კრძალავდა ეროვნული სასწავლო გეგმა.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ჩაატარეს პედაგოგიური საბჭო და გამოასწორეს აღნიშნული ხარვეზები. მან აღნიშნა, რომ მე-5 და მე-6 კლასის გამოცდები არ მოქმედებდა საბოლოო შეფასებაზე. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, მუსიკისა და ხელოვნების კომბინირებულად სწავლების მიზეზი გახლდათ შენობის რემონტი და სასწავლო პროცესის შედარებით გვიან დაწყება.

ექსპერტმა განაგრძო, რომ სკოლა ფუნქციონირებდა 2 მისამართზე - ქ. ქუთაისში და ქ. ბათუმში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ქუთაისში სკოლა განთავსებული იყო სამხედრო პროკურატურის შენობაში. ქ. ქუთაისში არსებული მატერიალური რესურსი შეესაბამებოდა სტანდარტს. ქ. ბათუმში კი სკოლა განთავსებული იყო კვლევითი ინსტიტუტის მესამე სართულზე. ქ. ბათუმში არსებული ფართიც შეესაბამებოდა ავტორიზაციის სტანდარტს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ პედაგოგების ნაწილი არ იყო ჩართული სქემაში. ბათუმის ნაწილში მასწავლებელთა შესარჩევად გამოცხადებული ჰქონდათ კონკურსი. სკოლაში არსებობდა ინფორმაცია და დოკუმენტაცია ადამიანურ რესურსებზე, თუმცა ხელმოწერილ ხელშეკრულებებზე არ იყო მითითებული თარიღი.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენით სურდა განსაზღვროდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 900 მოსწავლისთვის, მათ შორის ქ. ქუთაისში 800 და ქ. ბათუმში 100. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ - ამერიკული სკოლა პროგრესისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული

რაოდენობის 900-ით, მათ შორის ქ. ქუთაისში 800-ით და ქ. ბათუმში 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესს (ს/კ: 212807550) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 900-ით, მათ შორის ქ. ქუთაისში 800-ით და ქ. ბათუმში 100-ით.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, სასწავლო პროცესის დაწყებიდან 1 თვეში დაწესებულებაში განხორციელებულიყო მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი და გადამოწმებულიყო დაწესებულების ადამიანური რესურსის, კერძოდ ხელშეკრულებების საკითხის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან.

6. სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი ნინო ჩოხელის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტმა ნინო ბალანჩივაძემ წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა. მან აღწერა ვიზიტის შედეგები და შეფასებები თითოეული სტანდარტთან მიმართებით. ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილეს ხარვეზებზე, რომელიც ვიზიტის დროს ადგილზე გამოსწორდა.

ექსპერტმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა ორიენტირებული იყო მისიის მიღწევაზე, რაც დასტურდებოდა გეგმაში ასახული სხვადასხვა აქტივობით. კერძოდ, სკოლა აწყობდა სასწავლო–სამეცნიერო და შემოქმედებით ღონისძიებებს, დისპუტებს, კონფერენციებს, შემეცნებით ექსკურსიებს და სხვა. ამასთან, დაწესებულება გეგმავდა თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას სასწავლო პროცესში. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების გარდა, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ დამატებით სავალდებულო საგანმანათლებლო-სააღმზრდელო მომსახურებას. ექსპერტმა ასევე აღინიშნა, რომ მეორე უცხო ენის (რუსული) II კლასიდან სწავლებასთან დაკავშირებით დაწესებულებას უნდა ჰქონოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაგან ნებართვა,რაც სკოლის ადმინისტრაციამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით არ იყო განსაზღვრული სპორტის რომელ სახეობებს სთავაზობდა სკოლა მოსწავლეებს. ექსპერტის განმარტებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე, კერძოდ - სპორტის სახეობების შერჩევის შესახებ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის ადმინისტრაციას ასევე მიეცა რეკომენდაცია, შეფასების სისტემის დახვეწასთან დაკავშირებით, კათედრებს ყურადღება გაემახვილებინათ საგნობრივი სტანდარტების ინდიკატორების ამოქმედების მექანიზმებზე შემაჯამებელი დავალებების განსაზღვრის დროს. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაითვალისწინებდა აღნიშნულ რეკომენდაციებს და მიმდინარე სასწავლო წელს გამოიყენებდა სტანდარტის შესაბამის შემაჯამებელი დავალებების მრავალფეროვან ფორმებს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის მატერიალური რესურსი შეესაბამებოდა მოთხოვნილ სტანდარტებს. ადამიანური რესურსის შესახებ კი ითქვა, რომ სკოლას ჰყავდა 39 თანამშრომელი, აქედან - 24 პედაგოგი, 5 - ადმინისტრაციის წარმომადგენელი და 6 - ტექნიკური პერსონალი. 24 პედაგოგიდან 3 იყო სერტიფიცირებული, 8-ს აქვს ჩაბარებული საგნის გამოცდა.

ექსპერტმა აღნისშნა, რომ პედაგოგების ნაწილის სტატუსი „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული

წინსვლის სქემის“ შესაბამისად არ იყო განსაზღვრული, მაგრამ მათი კვალიფიკაცია დასტურდებოდა წარმოდგენილი ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლებით.

სხდომის თავმჯდომარემ გრიგოლ მურღულიამ ითხოვა დაზუსტება დამატებით საგანამანთლებლო მომსახურების თაობაზე, რაზეც ექსპერტმა განამარტა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას არ უნდა ჰქონდეს საგაკვეთილო ფორმატი.

შემდეგი შეკითხვა დაისვა დაწესებულების სახელწოდებასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ნინო ჩოხელი იყო სკოლის დამფუძნებელი, ხოლო დავითიანში კი გურამიშვილის დავითიანი იგულისხმებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენით სურდა განსაზღვროდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 240 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი ნინო ჩოხელისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 240-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი ნინო ჩოხელს (ს/კ: 208155761) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 240-ით.

7. შპს არეას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტებმა იანინა გიგიბერიამ და თამარ ამზაშვილმა წარადგინეს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა. ექსპერტთა განმარტებით, შპს არეას მიერ წარმოდგენილი 2016-2017 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა განხილული იყო პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის მიერ 2016 წლის 7 სექტემბერს. სკოლაში მუდმივად ტარდებოდა სხვადასხვა ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ავლენდნენ თავის შესაძლებლობებს - ფუნქციონირებდა ინტელექტ კლუბი: რა? სად? როდის? თითოეულ მოსწავლეს ჰქონდა თავისი შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენის, ცოდნის, უნარების, ღირებულებების შეძენისა და რეალიზაციის საშუალება.

ექსპერტთა განმარტებით, სკოლას სპორტის სახეობად არჩეული ჰქონდა ჭადრაკი, ფრენბურთი და ფეხბურთი. სკოლა გახანგრძლივებული პროგრამის ფარგლებში ახერხებდა, რომ პირველი - მეოთხე კლასის მოსწავლეებს სრულფასოვნად მოემზადებინათ გაკვეთილები და ჩანთასა და წიგნებს სახლში არ ატარებდნენ.

სკოლაში სწავლა მიმდინარეობდა სამივე საფეხურზე და ფუნქციონირებდა 6 საგნობრივი კათედრა. პედაგოგთა პორტფოლიოებში წარმოდეგნილი იყო შემაჯამებელი სამუშაოების ნიმუშები, შესაბამისი მიზნებითა და შედეგებით, შემაჯამებელ დავალებას თან ახლდა შერჩეულ მეთოდზე და კონკრეტულ თემაზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკა, სტანდარტის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურებოდა შემაჯამებელი დავალება. სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული იყო მოსწავლეთა შეფასების სისტემა და შემუშავებული იყო შეფასების კრიტერიუმები.

ექსპერტთა განმარტებით, სკოლის მატერიალური რესურსი შეესაბამებოდა მოთხოვნილ სტანდარტებს.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ შპს „არეას" ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სწავლების პროცესს ახორციელებდა 25 მასწავლებელი. 19 მასწავლებელი იყო მხოლოდ სასწავლო პროცესით დაკავებული, დანარჩენები ინაწილებდნენ და ითავსებდნენ დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციებს. ამჟამად სკოლაში სწავლობდა 219 მოსწავლე, თუმცა სკოლას ავტორიზაცია მიღებული ჰქონდა 316 მოსწავლეზე.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენით სურდა განსაზღვროდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო

გარემოს შექმნა შეეძლო 320 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს არეასთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 320-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს არეას (ს/კ: 244555539) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 320-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 18:15 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ირინა აბულაძე

გრიგოლ მურღულია

მდივანი
თამარ ფხალაძე